

ბოლო ცვლილებები და დამატებები შემტანილია:  
სს"საქართველოს საფონდო ბირჟის"  
სამემთავალმხრო საბჭოს მიერ,  
2011 წლის 16 სექტემბერი, ოქმი №5.

## „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ეთიკის კოდექსი

### შინაარსი

#### თავი I. ზოგადი დებულებები

- მუხლი 1. კოდექსის მიზანი და საგანი.
- მუხლი 2. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობის შესრულება.
- მუხლი 3. წევრის მმართველი ორგანოს პასუხისმგებლობა.
- მუხლი 4. ეთიკის კოდექსისადმი დაუმორჩილებლობა.
- მუხლი 5. ძირითად ტერმინთა განმარტებები.

#### თავი II. წევრებისა და ბროკერების საქმიანობისა და ქცევის ძირითადი პრინციპები

- მუხლი 6. კომერციული რეპუტაციისა და სამართლიანობის მაღალი სტანდარტის, ურთიერთმომგებიანი ვაჭრობის სამართლიანობის პრინციპები.
- მუხლი 7. რჩევები კლიენტებს.
- მუხლი 8. ქმედებები, რომლებიც ითვლება დისციპლინურ დარღვევად.
- მუხლი 9. სამართლიანი ფასები, საკომისიოები და ანაზღაურება.
- მუხლი 10. გარიგებების განხორციელება.
- მუხლი 11. მინდობილობის და სხვა მასალების გადაგზავნა.
- მუხლი 12. გარიგებების და კოტირების გამოქვეყნება.
- მუხლი 13. შეთავაზებები დათქმულ ფასში.
- მუხლი 14. ნდობით აღჭურვილი პირის მოვალეობა.
- მუხლი 15. სხვა წევრების თანამშრომლებზე ზეგავლენის მოხდენა ან მათი დასაჩუქრება.
- მუხლი 16. გარიგების დადასტურება.
- მუხლი 17. ემიტენტთან კავშირის გამჟღავნება.
- მუხლი 18. წევრის კლიენტის ანგარიში.
- მუხლი 19. კლიენტის სახსრები და ფასიანი ქაღალდები.
- მუხლი 20. ამონაწერები კლიენტის ანგარიშიდან.
- მუხლი 21. საკლირინგო შეთანხმებები.
- მუხლი 22. ზედამხედველობა.
- მუხლი 23. ბულალტრული აღრიცხვა და ჩანაწერები.
- მუხლი 24. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.
- მუხლი 25. გარიგებები ბროკერებთან.
- მუხლი 26. კონფიდენციალური ინფორმაცია.
- მუხლი 27. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება

## **თავი I. ზოგადი დებულებები**

### **მუხლი 1. კოდექსის მიზანი და საგანი.**

ეთიკის კოდექსი ადგენს ეთიკური ქცევის იმ სტანდარტებს, რომელიც სააქციო საზოგადოება “საქართველოს საფონდო ბირჟის” (შემდგომში – “ბირჟა”) წევრებმა და წევრებთან მომუშავე ბროკერებმა ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა დაიცვან. კოდექსის მიზანია უზრუნველყოს ღია, სამართლიანი ბაზრის ჩამოყალიბება და მისი ეფექტური ფუნქციონირება. ასევე, ეს კოდექსი ითვალისწინებს შუამავლების მიერ პროფესიული ქცევის და ბიზნესის კეთილსინდისიერად წარმოების პრინციპების დაცვას, მათ სამართლიანობაში ინვესტორების ნდობის გაღრმავებას.

### **მუხლი 2. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობის შესრულება.**

აქ ჩამოყალიბებულ ნორმებთან ერთად, ეს კოდექსი ავალდებულებს ბირჟის ყველა წევრს და ბროკერს, ემორჩილებოდეს საქართველოს კანონმდებლობას ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ და იმ ქვეყნების საფონდო ბაზრებზე მოქმედ ყველა კანონს, სადაც ის ეწევა საქმიანობას, ასევე, ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს (შემდგომში – “მარეგულირებელი ორგანო”), ბირჟის და ფასიანი ქაღალდების იმ ცენტრალურ დეპოზიტარის წესებს და ნორმებს, რომლის წევრებიც ისინი არიან.

### **მუხლი 3. წევრის მმართველი ორგანოს პასუხისმგებლობა.**

წევრის მმართველი ორგანო პასუხისმგებელია უზრუნველყოს კომპანიის და მასთან მომუშავე ბროკერების მიერ ამ კოდექსის დებულებებით გათვალისწინებული პირობების შესრულება.

### **მუხლი 4. ეთიკის კოდექსისადმი დაუმორჩილებლობა.**

ბირჟის ეთიკის კოდექსის ყველა პრინციპისადმი დამორჩილება არის ყველა წევრის და ბროკერის მოვალეობა. მათადმი დაუმორჩილებლობა მიჩნეულია, როგორც სტანდარტების დარღვევა და იწვევს დისციპლინური სახდელის დაკისრებას ბირჟის დისციპლინურ დარღვევათა საპროცესო კოდექსის მიხედვით.

### **მუხლი 5. ძირითად ტერმინთა განმარტებები**

ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს ამ კოდექსის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

- 5.1. წევრი** – ბირჟის წევრი (ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი, მათ შორის კანონით გათვალისწინებული უცხოური ფინანსური ინსტიტუტი).
- 5.2. ბროკერი** – წევრთან მომუშავე პირი, რომელზეც ბირჟის საკვალიფიკაციო კომისიის მიერ გაიცა სათანადო სერტიფიკატი.

- 5.3. ინტერესთა კონფლიქტი** – სიტუაცია, როდესაც წევრის ან ბროკერის ინტერესები კონფლიქტშია მის მოვალეობასთან კლიენტისადმი, ან წევრის ვალდებულება ერთი კლიენტისადმი კონფლიქტშია მეორე კლიენტის ინტერესებთან.
- 5.4. საჩივარი** – კლიენტის ან მისი ნდობით აღჭურვილი პირის წერილობითი განცხადება, რომელშიც აღწერილია წევრის ან მასთან მომსახურე პირის წინააღმდეგ გამოთქმული უკმაყოფილება კლიენტის მომსახურებასთან დაკავშირებით.
- 5.5. ბონა ფიდე კლიენტი** – კლიენტი, რომელსაც აქვს ფულადი სახსრები ან ფასიანი ქაღალდები წევრის განკარგულებაში, ნომინალურ მფლობელობაში ან/და საქმიანი ურთიერთობა წევრთან ხელშეკრულების საფუძველზე.
- 5.6. ბაზრის მარეგულირებლის წარმომადგენელი** – მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი.
- 5.7. ინსაიდერული ინფორმაცია** – ნიშნავს არსებით, არასაჯარო ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია ერთ ან რამდენიმე ანგარიშვალდებულ საწარმოსთან ან მათ საჯარო ფასიან ქაღალდებთან.
- 5.8. ინსაიდერი** – ნებისმიერი პირი, რომელსაც თავისი წევრობით ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველ ორგანოში, მისი მონაწილეობით ასეთი საწარმოს კაპიტალში (მეწილეობით) ან საქმიანობით თუ პროფესიული ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით ხელი მიუწვდება ინსაიდერულ ინფორმაციაზე. ინსაიდერად ჩაითვლებიან ასევე სხვა პირები, რომლებმაც მიიღეს ინსაიდერული ინფორმაცია და ცხადია, რომ ამ ინფორმაციის წყაროა ინსაიდერი.
- 5.9. ინსაიდერული ინფორმაციის უკანონოდ გამოყენება** – ინსაიდერის ან სხვა ნებისმიერი პირის ქმედება, რომელიც გამიზნულად მოიპოვებს ინსაიდერულ ინფორმაციას და იგი:
- 5.9.1.** შეიძენს ან ყიდის თავისი ინტერესებისათვის ან სხვა პირის დავალებით იმ საწარმოს ფასიან ქაღალდებს, რომლის ინსაიდერულ ინფორმაციასაც იგი ფლობს, ან;
- 5.9.2.** უმუღავნებს ასეთ ინფორმაციას ნებისმიერ მესამე მხარეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ქმედება წარმოადგენს მის სამსახურებრივ და პროფესიონალურ მოვალეობას ან;
- 5.9.3.** ინსაიდერული ინფორმაციის საფუძველზე ურჩევს მესამე მხარეს შეიძინოს ან გაყიდოს ფასიანი ქაღალდები.
- 5.10. მანიპულირება ბაზარზე** – ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებები:
- 5.10.1.** ნებისმიერი ფასიანი ქაღალდით აქტიური ვაჭრობის ან მისი ბაზრის მდგომარეობის ყალბი და შეცდომაში შემყვანი სურათის წარმოსახვის მიზნით;

- ა) ფასიანი ქაღალდებით გარიგების განხორციელება, რომელიც არ ცვლის მის რეგისტრირებულ მესაკუთრეს; ან
  - ბ) ფასიანი ქაღალდების შესყიდვაზე ან გაყიდვაზე რიგი განაცხადების გაკეთება იმის წინასწარი ცოდნით, რომ შემხვედრი წინადადება განხორციელდება იმავე რეგისტრირებული მესაკუთრისგან.
- 5.10.2. მარტო, ან სხვა პირებთან ერთად, ფასიანი ქაღალდებით რიგი გარიგებების განხორციელება, რაც განზრახ:
- ა) ასწევს მათ ფასს, ფასიანი ქაღალდის შესყიდვის გამოწვევის მიზნით; ან
  - ბ) დასწევს მათ ფასს, ფასიანი ქაღალდის გაყიდვის გამოწვევის მიზნით;
  - გ) შექმნის აქტიური ვაჭრობის შესახებ მცდარ წარმოდგენას შესყიდვის ან გაყიდვის მოცულობის ხელოვნური წარმოშობის ან ზრდის მიზნით.
- 5.10.3. ინფორმაციის გავრცელება იმის შესახებ, რომ ფასიანი ქაღალდის ფასმა მოსალოდნელია აიწიოს ან დაიწიოს, ამ ფასიანი ქაღალდის ფასის აწევის ან დაწევის მიზნით
- 5.10.4. ბროკერის მიერ განაცხადის გაკეთება მხოლოდ იმ მიზნით, რომ გამოიწვიოს ფასიანი ქაღალდის ყიდვა ან გაყიდვა, იმ დროს და იმ ვითარებაში, როდესაც ამ განაცხადებაში მოცემული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, ხოლო მან ეს იცოდა ან ჰქონდა საფუძვლიანი მიზეზი ეფიქრა, რომ ინფორმაცია მცდარია.
- 5.10.5. მარტო, ან სხვა პირებთან ერთად, რაიმე ფასიანი ქაღალდის ყიდვა-გაყიდვის გარიგებათა რიგის განხორციელება ამგვარი ფასიანი ქაღალდის ფასის ხელოვნურად ფიქსირების ან სტაბილიზაციის მიზნით.
- 5.11. არსებითი ფაქტი ან მოვლენა** – ნებისმიერი ფაქტი ან მოვლენა, რომელიც საფუძვლიანად შეიძლება იქნეს მიჩნეული გავლენის მქონედ ინვესტორის გადაწყვეტილებაზე იყიდოს, შეინახოს ან გაყიდოს ემიტენტის ფასიანი ქაღალდი.
- 5.12. ფასიანი ქაღალდი (ფასიანი ქაღალდები)** – მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია წილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქაღალდის სახით (ან მათი კომბინირებული ვარიანტით), ან რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ასეთებად, ან რომლებიც არიან ასეთებზე ხელმოწერისა თუ შექმნის უფლების მატარებლები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტები და უფლებები.
- 5.13. რჩევის მიცემა** – წევრის წარმომადგენლის მიერ კლიენტისთვის ფასიანი ქაღალდების ოპერაციებთან დაკავშირებული ისეთი სახის კონსულტაციის გაწევა, რომლის შედეგადაც მან გაიზიარა წევრის წარმომადგენლის მიერ შემოთავაზებული წინადადება და გაუფორმა დავალება წევრს ამ რჩევის გათვალისწინებით.

## თავი II. წევრებისა და ბროკერების საქმიანობისა და მცემის კირითადი პრინციპები

**მუხლი 6.** კომერციული რეპუტაციისა და სამართლიანობის მაღალი სტანდარტის, ურთიერთმომგებიანი ვაჭრობის სამართლიანობის პრინციპები.

ბირჟის ყველა წევრი და წევრებთან მომუშავე ბროკერი თავის საქმიანობაში უნდა იცავდეს კომერციული რეპუტაციის და სამართლიანობის მაღალ სტანდარტებს და ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობის სამართლიანობის პრინციპებს.

### მუხლი 7. რჩევები კლიენტებს

- 7.1. კლიენტისათვის ნებისმიერი ფასიანი ქაღალდის ყიდვაზე, გაყიდვაზე ან გადაცემაზე რჩევის მიცემისას, წევრი მყარად უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ ეს რჩევა კლიენტისათვის სარგებლიანია, იმ ფაქტებიდან გამომდინარე, რომელიც კლიენტმა გაუმჟღავნა წევრს.
- 7.2. კლიენტისთვის ფასიანი ქაღალდების გარიგებაზე რჩევის მიცემაზე წევრმა ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს შემდეგი ინფორმაციის მოსაპოვებლად:
  - ა) კლიენტის წლოვანება და შემოსავალი;
  - ბ) კლიენტის ოჯახი და სხვა ფინანსური მოვალეობები;
  - გ) კლიენტის ფინანსური მდგომარეობა;
  - დ) კლიენტის გადასახადების მდგომარეობა;
  - ე) კლიენტის საინვესტიციო მიზნები;
  - ვ) კლიენტის ფინანსური რისკის განსაზღვრა; და
  - ზ) სხვა მსგავსი ინფორმაცია, რომელსაც გამოიყენებს წევრი ან ბროკერი კლიენტისათვის რჩევის მიცემისას.
- 7.3. თუ კლიენტი უარს განაცხადებს ამ ინფორმაციის გაცემაზე, მან ეს უნდა დაადასტუროს თავისი ხელმოწერით.

### მუხლი 8. ქმედებები, რომლებიც ითვლება დისციპლინურ დარღვევად

- 8.1. ყველა წევრი და წევრთან მომუშავე ბროკერი ვალდებულია სამართლიანი გარიგება აწარმოოს კლიენტებთან. ქვემოთ ჩამოთვლილია ის შემთხვევები, რომლებიც ჩაითვლება უკანონოდ და გამოიწვევს დისციპლინური სახდელის დაკისრებას:
  - 8.1.1. კლიენტისათვის სპეკულაციური, მაღალრისკიანი ფასიანი ქაღალდების შეთავაზება კლიენტის მოთხოვნებზე და მიზნებზე ინფორმაციის უქონლობის შემთხვევაში ან ამგვარი ინფორმაციის მოპოვების მცდელობის გარეშე;
  - 8.1.2. საკომისიოების აკუმულირების მიზნით კლიენტის ფინანსური მდგომარეობის ან საინვესტიციო მიზნების უგულვებელყოფით ზედმეტი სავაჭრო ოპერაციების ჩატარება კლიენტის ანგარიშზე;

- 8.1.3. ფიქტიური ანგარიშის გახსნა იმ გარიგებების განსახორციელებლად, რომელთა განხორციელებაც სხვა ანგარიშზე აკრძალული იქნებოდა;
- 8.1.4. კლიენტის ანგარიშზე მისგან ნებადაურთველი გარიგებების განხორციელება;
- 8.1.5. ყალბი ან შეცდომაში შემყვანი რეკლამის გამოყენება კლიენტისთვის არასწორი წარმოდგენის შექმნის ან არასწორი გადაწყვეტილების მიღების მიზნით;
- 8.1.6. არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ამონაწერის მიწოდება კლიენტის ანგარიშის მდგომარეობის ან ამ ანგარიშზე განთავსებული ფასიანი ქაღალდების ღირებულების შესახებ;
- 8.1.7. ნებისმიერ დოკუმენტზე კლიენტის ბეჭდის ან ხელმოწერის გაყალბება;
- 8.1.8. კლიენტისგან მიღებული დავალების განზრახ ან დაუდევრობის გამო არ შესრულება, თუ ამ დავალების შესრულების პირობები არსებობდა.
- 8.2. ინსაიდერული ინფორმაციის უკანონოდ გამოყენება, გაყალბება და ბაზრის მანიპულირება წევრის ან წევრთან მომუშავე ბროკერის მიერ არის უკანონო და ექვემდებარება დისციპლინურ სასჯელს.
- 8.3. დისციპლინურ სასჯელს ექვემდებარება აგრეთვე შემდეგი ქმედებები:
  - 8.3.1. წევრის ან ბირჟის იმიჯისა და რეპუტაციის შემლახველი, აგრეთვე არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება;
  - 8.3.2. წევრის მიმართ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული შეურაცხყოფელი განცხადების გაკეთება და/ან ქმედება.

**მუხლი 9. სამართლიანი ფასები, საკომისიოები და ანაზღაურება**

- 9.1. წევრის მიერ გაწეული მომსახურებისთვის მოთხოვნილი ანაზღაურება (მათ შორის, საკომისიო) უნდა იყოს მომსახურების შესაფერისი და სამართლიანი, ამასთან დაკავშირებული ყველა გარემოების გათვალისწინებით.
- 9.2. თუ წევრი ყიდულობს ან ყიდის ფასიან ქაღალდს თავისთვის ან კლიენტისათვის, ყიდვა-გაყიდვა უნდა განხორციელდეს კლიენტისათვის სამართლიან ფასში, მასთან დაკავშირებული ყველა გარემოების გათვალისწინებით.
- 9.3. წევრები უნდა დაემორჩილონ ბირჟის წესებს ბირჟისთვის გადასახდელი მომსახურების საკომისიოებისა და გადასახადების შესახებ.

## **მუხლი 10. გარიგებების განხორციელება**

წევრებმა და მათმა ბროკერმა, კეთილგონიერების ფარგლებში, ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ, რათა ფასიანი ქაღალდისათვის მოიძიონ საუკეთესო ბაზარი და ამგვარი ბაზრის პირობებში, აწარმოონ ყიდვა-გაყიდვა კლიენტისათვის შეძლებისდაგვარად მომგებიან ფასში.

## **მუხლი 11. მინდობილობის და სხვა მასალების გადაგზავნა**

წევრები მოვალენი არიან გადაუგზავნონ მოთხოვნა (შუამდგომლობა) მინდობილობის გაცემაზე და მასთან დაკავშირებული ყველა მასალა იმ აქციების თითოეულ რეგისტრირებულ მესაკუთრეს, რომელთა აქციებიც ამ წევრს ნომინალურ მფლობელობაში გააჩნია.

## **მუხლი 12. გარიგებების და კოტირების გამოქვეყნება**

წევრმა არ უნდა გამოაქვეყნოს და გაავრცელოს, ან გამოიწვიოს გამოქვეყნება და გაავრცელება ფასიანი ქაღალდების გარიგების შესახებ რაიმე განცხადების ან ცნობის მანამ, სანამ არ დარწმუნდება, რომ ეს გარიგება ნამდვილად მოხდა ყველა კანონის დაცვით. ასევე არ უნდა გამოაქვეყნოს და გაავრცელოს, ან გამოიწვიოს გამოქვეყნება ან გაავრცელება ფასიანი ქაღალდის კოტირებისა, თუ ეს წევრი არ არის დარწმუნებული იმაში, რომ ეს კოტირება წარმოადგენს ნამდვილ წინადადებას ყიდვაზე ან შეთავაზებას გაყიდვაზე.

## **მუხლი 13. შეთავაზებები დათქმულ ფასში**

წევრმა არ უნდა შესთავაზოს ნებისმიერ პირს იყიდოს მისგან ან მიყიდოს მას ფასიანი ქაღალდი, თუ ამ წევრს არა აქვს რეალური შესაძლებლობა დადოს შესაბამისი გარიგება დათქმულ ფასად და პირობებით.

## **მუხლი 14. ნდობით აღჭურვილი პირის მოვალეობა**

წევრმა, რომელიც ასრულებს საანგარიშსწორებო შუამავლის, ტრანსფერ-აგენტის, ნდობით აღჭურვილი პირის ან სხვა მოვალეობას და ფლობს ინფორმაციას ფასიანი ქაღალდის მფლობელობის შესახებ, არ უნდა გამოიყენოს ეს ინფორმაცია ფასიანი ქაღალდის შესყიდვის, გაყიდვის ან გადაცვლის მოთხოვნის გაჩენის, გაზრდის, შემცირების მიზნით, თუ ეს არ ხდება ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მესაკუთრის თანხმობით.

## **მუხლი 15. სხვა წევრების თანამშრომლებზე ზეგავლენის მოხდენა ან მათი დასაჩუქრება**

წევრმა ან ბროკერმა არ უნდა გასცეს (მიიღოს) ან დაუშვას, რომ იქნას გაცემული (მიღებული) რაიმე ფასეულობა საჩუქრის სახით (ფულადი საჩუქრის ჩათვლით), თუ მისი ღირებულება აღემატება 100 ლარს, ნებისმიერ სხვა კომპანიის ბროკერზე ან თანამშრომელზე, თუ ეს გასამრჯელო ან ფულადი საჩუქარი დაკავშირებულია რომელიმე წევრის საქმიანობასთან.

## **მუხლი 16. გარიგების დადასტურება**

16.1. კლიენტთან ყოველი გარიგების დასრულებისთანავე, წევრმა უნდა გასცეს ან გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება კლიენტს, რომელიც სრულად უნდა შეიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციას:

- ა) ფასიანი ქაღალდის საცალო ფასი;
- ბ) გარიგების დრო და ადგილი (მაგ., ბირჟა);
- გ) გაყიდული ან შესყიდული ფასიანი ქაღალდების მთლიანი რაოდენობა;
- დ) გარიგების საკომისიოს ოდენობა;
- ე) გარიგების საერთო მოცულობა და საკომისიო;
- ვ) გარიგების შესახებ ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც მოთხოვნილი იქნება მარეგულირებელი ორგანოს მიერ.

16.2. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, წევრმა უნდა შეატყობინოს კლიენტს კლიენტთან გარიგების დადებისას:

- ა) გარიგებაში წევრი მოქმედებდა როგორც კლიენტის აგენტი, თუ როგორც დილერი;
- ბ) გარიგებაში წევრი მოქმედებდა თუ არა, როგორც მყიდველისა და გამყიდველის ორმაგი აგენტი.

## **მუხლი 17. ემიტენტთან კავშირის გამჟღავნება**

წევრმა, რომელიც ფინანსურად დამოკიდებულია ან კავშირშია ფასიანი ქაღალდის ემიტენტზე, კლიენტს უნდა გაუმჟღავნოს ამ ურთიერთობების არსებობის ფაქტი მასთან ხელშეკრულების დადებისას ან ამ ემიტენტის ფასიან ქაღალდთან დაკავშირებული დავალების მიღებისას.

## **მუხლი 18. წევრის კლიენტის ანგარიში**

- 18.1. საბროკერო კომპანიები ანგარიშის გახსნის პროცედურას ახორციელებენ კანონმდებლობის, მათ შორის „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- 18.2. წევრმა ან მისმა ბროკერმა არ უნდა გამოიყენოს ნომინალური მფლობელის უფლება კლიენტის ანგარიშზე, თუ მას ამ კლიენტისთვის არ აქვს გახსნილი ანგარიში და არა აქვს მიღებული ნომინალური მფლობელობის უფლებამოსილება კლიენტთან გაფორმებული ან კლიენტისაგან მიღებული დოკუმენტაციის საფუძველზე.
- 18.3. წევრის მიერ დანიშნულმა უფლებამოსილმა პირმა შემოსვლისთანავე წერილობით უნდა დაამოწმოს თითოეული კლიენტის ყოველი დავალება.
- 18.4. წევრმა, კლიენტთან წერილობითი ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა მიაწოდოს მას ინფორმაცია კლიენტთან წევრის ურთიერთობის მარეგულირებელი ამ კოდექსის შესახებ,

## **მუხლი 19. კლიენტის სახსრები და ფასიანი ქაღალდები**

- 19.1. წევრმა ან ბროკერმა არადანიშნულებისამებრ არ უნდა გამოიყენოს კლიენტის სახსრები ან ფასიანი ქაღალდები.
- 19.2. წევრმა არ უნდა ისესხოს ან ასესხოს სხვას ფულადი სახსრები ან ფასიანი ქაღალდები, რომელსაც იგი კლიენტისთვის ინახავს და რომლის დაბანდება ან გასესხება შესაძლებელია, თუ ამ წევრს წინასწარ არ აქვს მიღებული კლიენტისაგან წერილობითი უფლებამოსილება, რომელიც უფლებას აძლევს მას განახორციელოს ამგვარი ოპერაციები.
- 19.3. წევრი არ უნდა ფლობდეს ფასიან ქაღალდებს, რომელსაც იგი ნებისმიერი კლიენტისთვის ინახავს, თუ ეს ფასიანი ქაღალდები არ არის განცალკავებული და იდენტიფიცირებული იმ მეთოდით, რომელიც მიუთითებს ამ კლიენტის მფლობელობას ამ ფასიან ქაღალდებზე.
- 19.4. წევრმა ან ბროკერმა არ უნდა მისცეს კლიენტს გარანტია, რომ წევრის მიერ ამ კლიენტისთვის წარმოებული ფასიანი ქაღალდის ანგარიში (კლიენტის პორთფელი), ან ამ წევრის მიერ კლიენტისათვის ან კლიენტთან დადებული ფასიანი ქაღალდებით გარიგების შედეგად კლიენტი არ განიცდის ზარალს.

## **მუხლი 20. ამონაწერები კლიენტის ანგარიშიდან**

- 20.1. თითოეულმა წევრმა ყოველ კლიენტს უნდა გაუზიაროს ანგარიშის ამონაწერი, რომელიც შეიცავს ნებისმიერი ფასიანი ქაღალდის პოზიციის აღწერას, ფულადი სახსრების ნაშთს ან ანგარიშზე წარმოებულ ოპერაციათა მოცულობას იმის შემდგომი პერიოდის განმავლობაში, რაც ასეთი ამონაწერი უკანასკნელად გაეგზავნა კლიენტს. თუ ანგარიშზე ირიცხება ფულადი სახსრები და/ან ფასიანი ქაღალდები, რომელთა ჯამური საბაზრო ღირებულება აღემატება 100 ლარს და ამ ანგარიშზე არ მომხდარა რაიმე ცვლილება, მაშინ ასეთი ამონაწერი კლიენტს ეგზავნება ყოველკვარტალურად ელექტრონულად, თუ კლიენტს გააჩნია ელექტრონული ფოსტის მისამართი. დანარჩენ შემთხვევებში კლიენტს ამონაწერი მიეწოდება მხოლოდ ანგარიშზე ცვლილების შემთხვევაში. ელექტრონული ფოსტის მისამართის არარსებობის შემთხვევაში ანგარიშზე მომხდარი ცვლილების შესახებ შეტყობინება შეიძლება გაგზავნოს **SMS**-შეტყობინებით ან ტელეფონით.
- 20.2. “ანგარიშზე წარმოებულ ოპერაციათა მოცულობაში” უნდა შედიოდეს ყოველგვარი დებეტი ან კრედიტი, მათ შორის ყიდვა, გაყიდვა, დარიცხული ან მიღებული პროცენტები, დივიდენდების, ფასიანი ქაღალდების მიღება ან გაცემა და წევრის ნომინალურ მფლობელობაში ან მართვაში და ა.შ.
- 20.3. ბირჟას, ვაჭრობის ზედამხედველობის და დისციპლინური სამსახურების მეშვეობით შეუძლია გაათავისუფლოს ნებისმიერი წევრი ამ მუხლში მოცემული ვალდებულებებისგან, დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ნებისმიერი წევრი, რომელსაც აქვს ვადაგაუსვლელი საკლირინგო შეთანხმება, როგორც ეს ამ კოდექსის 21-ე მუხლშია აღწერილი, დასაბუთებული მიზეზის

საფუძველზე თავისუფლდება ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

## **მუხლი 21. საკლირინგო შეთანხმებები**

21.1. წვერის ყველა საკლირინგო შეთანხმება უნდა განსაზღვრავდეს შეთანხმების თითოეული მონაწილის უფლებებსა და ვალდებულებებს. ასევე, სულ მცირე, უნდა განსაზღვრავდეს თითოეული მონაწილის პასუხისმგებლობას ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხებისადმი:

- ა) კლიენტის ანგარიშის გახსნა, დამოწმება და მონიტორინგი;
- ბ) კრედიტის გაგრძელება;
- გ) დავთრების და დოკუმენტაციის წარმოება;
- დ) ფასიანი ქაღალდების და ფულადი სახსრების მიღება და გაცემა;
- ე) ფულადი სახსრების და ფასიანი ქაღალდების დაცვა;
- ვ) დადასტურების და პერიოდული ანგარიშგების წარმოება და გაგზავნა;
- ზ) შეკვეთის მიღება და გარიგებების განხორციელება;

21.2. თითოეულ კლიენტს, რომელიც მისთვის ანგარიშის წარდგენისას ითხოვს სრულ გამჭვირვალობას, ანგარიშის გახსნისას, წერილობით უნდა ეცნობოს საკლირინგო შეთანხმების არსებობის შესახებ.

## **მუხლი 22. ზედამხედველობა**

22.1. თითოეულმა წევრმა უნდა დააწესოს და აწარმოოს ყოველი ბროკერის საქმიანობის საზედამხედველო სისტემა, რომელიც გონივრულად იქნება დაგეგმილი და შესაბამისობაში მოყვანილი კანონთან “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ”, მარეგულირებელი ორგანოს წესებთან და ბირჟის წესებთან. ზედამხედველობის სწორად წარმართვაზე საბოლოო პასუხისმგებლობა ეკისრება წევრს.

22.2. თითოეულმა წევრმა უნდა დააწესოს, დაიცვას და განახორციელოს გონივრულად დაგეგმილი, წერილობითი საზედამხედველო პროცედურები, რათა ზედამხედველობა გაუწიოს მისი მენეჯმენტის და თანამშრომელთა საქმიანობას;

22.3. წვერის წერილობითი საზედამხედველო სისტემა უნდა შეიცავდეს ზემოხსენებულ საზედამხედველო პროცედურებს, მასთან მომუშავე თანამშრომლების თანამდებობას, სერტიფიცირების მდგომარეობას და სამსახურებრივ მისამართს, ასევე თითოეული ზედამხედველის პასუხისმგებლობას, რაც გამომდინარეობს წვერის მიერ წარმოებული საქმიანობიდან. წევრმა შიდა ჩანაწერებში უნდა შეიტანოს ყველა იმ პირის ვინაობა, ვისაც ზედამხედველის ფუნქცია აკისრია და ამ ფუნქციის დაკისრების თარიღი. წევრმა ჩანაწერი სულ ცოტა სამი წლით უნდა შეინახოს, აქედან პირველი ორი წელი – თავის ოფისში.

22.4. წვერის საზედამხედველო პროცედურების ასლი უნდა ინახებოდეს ყველგან, სადაც ამ წვერის სახელით ხორციელდება ზედამხედველობა. თითოეულმა წევრმა, დროის გარკვეულ პერიოდში, ცვლილებები უნდა შეიტანოს წერილობით საზედამხედველო პროცედურებში, "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ"

კანონში და მარეგულირებელი ორგანოს წესებში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად, ასევე, საზედამხედველო სისტემაში და მოსამსახურეთა შტატში მომხდარი ცვლილებების შემთხვევაში. თითოეული წევრი ვალდებულია, თავის ორგანიზაციაში გაავრცელოს ინფორმაცია ამ ცვლილებების შესახებ.

22.5. თითოეულმა წევრმა, შიდა ჩანაწერებისათვის უნდა დააწესოს ბროკერის მიერ წარმოებული ყველა გარიგების და მიმოწერის წერილობითი პროცედურები, დაკავშირებული ფასიანი ქაღალდებით გარიგებებთან და შუამავლობასთან, რომელსაც განიხილავს და დაამტკიცებს დირექტორი.

### **მუხლი 23. ბუღალტრული აღრიცხვა და ჩანაწერები**

23.1. თითოეულმა წევრმა უნდა აწარმოოს საბუღალტრო წიგნები, ჩანაწერები, მემორანდუმები და სხვა დოკუმენტაცია “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” საქართველოს კანონის და მასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ორგანოს წესების და ბირჟის წესების გათვალისწინებით.

23.2. კლიენტის ანგარიშის გახსნისას თითოეულმა წევრმა უნდა გააფორმოს მასთან ხელშეკრულება და შეინახოს იგი სამსახურის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

23.3. თითოეულმა წევრმა სათანადო გულისყურით უნდა შეინახოს კლიენტის ყველა წერილობითი საჩივარი და საჩივარის საპასუხოდ მიღებული ზომების ჩანაწერი.

### **მუხლი 24. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

წევრმა, კლიენტის მოთხოვნისთანავე, უნდა მიაწოდოს მას ინფორმაცია წევრის ფინანსურ მდგომარეობაზე, როგორც ეს წარმოდგენილია უახლეს ფინანსურ ანგარიშგებაში, ამ წევრის ჩვეულებრივი პრაქტიკის და/ან “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” კანონის, მარეგულირებელი ორგანოს და ბირჟის წესების შესაბამისად.

### **მუხლი 25. გარიგებები ბროკერებთან**

25.1. წევრის ბროკერს არა აქვს უფლება დამქირავებელი კომპანიისაგან წერილობითი ნებართვის გარეშე გახსნას ან ჰქონდეს გახსნილი ფასიანი ქაღალდების ანგარიში სხვა წევრთან.

25.2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღწერილი ნებართვის ასლი წინასწარ უნდა გადაეცეს წევრს, რომელთანაც იგი აპირებს პირადი ანგარიშის გახსნას ან გარიგების განხორციელებას.

25.3. თუ ბროკერი დამქირავებლის წინასწარი წერილობითი ნებართვით ხსნის პირად ანგარიშს სხვა წევრთან, ამ წევრმა უნდა გაუგზავნოს მის დამქირავებელს ბროკერის გარიგების დამოწმების და ყოველთვიური ანგარიშების ასლები.

## **მუხლი 26. კონფიდენციალური ინფორმაცია.**

26.1. ყველა წევრმა უნდა შეიმუშაოს, დაიცვას და განახორციელოს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული შიდა კონფიდენციალური ინფორმაციის წესები. ეს წესები უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს:

26.1.1. რას მიიჩნევს წევრი შიდა კონფიდენციალურ ინფორმაციად:

- ა) წევრის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- ბ) კლიენტებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

26.1.2. წევრების მოთხოვნა ბროკერის მიმართ დაემორჩილოს ამ წესებს. ეს წესები ბროკერებს აკისრებს ვალდებულებას კონფიდენციალური ინფორმაცია არ გაუმჟღავნოს:

- ა) წევრის სხვა განყოფილებებს ან მათ ბროკერებს;
- ბ) სხვა წევრების ბროკერებს, კლიენტებს, მარეგულირებელი ორგანოს და საზოგადოებას.

## **მუხლი 27. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება**

27.1. კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება გამჟღავნებული იქნას:

- ა) მარეგულირებელი ორგანოს წარმომადგენლებისთვის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ბ) კლიენტის მიერ წერილობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებისათვის.

27.2. კონფიდენციალური ინფორმაციის წესებისადმი დაუმორჩილებლობა ან მათი დარღვევა ითვლება ამ კოდექსის მოთხოვნათა დარღვევად და გამოიწვევს დისციპლინური სახდელის დადებას.